"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, ტმდ, პროფესორი

_____ ს. ტეფნაძე
24 _____ 03 _____ 2025
დადგენილება № _____

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ეთიკის კოდექსი

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2
2 ცვლილებები 3
2.1 ცვლილებების ისტორია 3
3 მოქმედი გვერდების სია 4
4 დოკუმენტაციის კონტროლი 5
4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 5
5 ძირითადი ნაწილი 6
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 6
მუხლი 2. ეთიკის კოდექსის სტანდარტები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის6
მუხლი 3. ეთიკის კოდექსის სტანდარტები სამეცნიერო პერსონალისთვის 6
მუხლი 4. ეთიკის კოდექსის სტანდარტები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის 7
მუხლი 5. ეთიკის კოდექსის სტანდარტები სტუდენტებისთვის 7
მუხლი 6. დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა 8
მუხლი 7. დისციპლინური სანქციები 9

2 ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

2.1 ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	**ცვლილების საფუძველი**	**შეცვლილი გვერდები**	**თარიღი**	**ცვლილების ინიციატორი**

3 მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
-	1	0	თებერვალი 2025					
1	2	0	თებერვალი 2025					
2	3	0	თებერვალი 2025					
3	4	0	თებერვალი 2025					
4	5	0	თებერვალი 2025					
5	6	0	თებერვალი 2025					
5	7	0	თებერვალი 2025					
5	8	0	თებერვალი 2025					
5	9	0	თებერვალი 2025					

4 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

4.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

5 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) წარმოადგენს იმ ქცევის წესების ერთობლიობას, რომელთა შესრულება სავალდებულოა, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის (შემდგომში - პერსონალი), ასევე სტუდენტებისათვის. კოდექსი მიზნად ისახავს დაეხმაროს პერსონალს და სტუდენტებს იმ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას სამუშაო ან/და სასწავლო პროცესში. ეთიკის კოდექსი ეფუძნება პატიოსნების, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორუფლებიანობისა და კანონიერების პრინციპებს.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის სტანდარტები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის

1. პერსონალი ვალდებულია:
   1.1. სასწავლო პროცესი წარმართოს უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად;
   1.2. მიმართულების/დარგის შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ, განაახლოს სალექციო კურსის თემატიკა და სტრუქტურა;
   1.3. ლექციაზე/პრაქტიკულ მეცადინეობაზე შევიდეს დროულად, მომზადებული და ორგანიზებული. არ დაუშვას ლექციის/სემინარის/პრაქტიკული მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება, ან გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე;
   1.4. შექმნას ყველა საჭირო პირობა პატიოსანი და გამჭვირვალე აკადემიური გარემოს ფორმირებისათვის;
   1.5. შეიმუშაოს და დანერგოს სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს;
   1.6. სტუდენტებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ;
   1.7. არ უნდა გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგების სწავლების მეთოდებზე. პატივი უნდა სცეს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას;
   1.8. თავი შეიკავოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისგან, რაც ხელს შეუშლის საუნივერსიტეტო მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებაში;
   1.9. სამართლიანად და პატივისცემით მოეპყრას უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს და სტუდენტს;
   1.10. სამუშაო ადგილზე გამოცხადდეს აკადემიურ სტატუსთან შესაბამისი ჩაცმულობით;
   1.11. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას და სათანადო გულისყურით მოეპყრას იმ ტექნიკასა და ინვენტარს, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესში.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის სტანდარტები სამეცნიერო პერსონალისთვის

1. სამეცნიერო პერსონალის მოვალეობაა კვლევისა და ინოვაციების საშუალებით შექმნას ბაზა, რათა სასწავლო პროცესი არ ჩამორჩეს საზოგადოების ცვალებად მოთხოვნებსა და სამეცნიერო ცოდნის მიღწევებს.
2. ამ მიზნით სამეცნიერო პერსონალი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან;

3. მათ არ უნდა დაუშვან კვლევის შედეგების გაყალბება, პლაგიატი, სხვა მეცნიერის კვლევების შედეგების არაკანონიერი გამოყენება, არ უნდა დაარღვიონ სხვისი უფლებები (მათ შორის: საავტორო) ინტელექტუალურ საკუთრებაზე;
4. უნდა შექმნან სამეცნიერო კვლევების ჩატარების ისეთი პირობები, რომლითაც კოლეგებსა და სტუდენტებს ხელი არ შეეშლებათ სწავლასა და კვლევის პროცესში და არ მიადგება ზიანი მათ ჯანმრთელობას.
5. სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები და მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;

მუხლი 4. ეთიკის კოდექსის სტანდარტები ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მოვალეობაა უნივერსიტეტში შექმნას სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი მორალური, ფინანსურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარემო;
2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წევრები პატივს უნდა სცემდნენ უნივერსიტეტს და მის ტრადიციებს. კოლეგებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრონ სამართლიანად და პატივისცემით. მათ უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას.
3. ამ მიზნით ისინი:
   3.1. უნდა ემორჩილებოდნენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ წესებს, პროცედურებსა და მოქმედ კანონმდებლობას;
   3.2. არ უნდა მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ისეთ კომერციულ საქმიანობაში, საიდანაც მათ ან მათი ოჯახის წევრს პირადი სარგებელი გააჩნია, რაც კლასიფიცირდება როგორც ინტერესთა კონფლიქტი და რომელიც თავიდანვე უნდა აღიკვეთოს;
4. მათ უფლება არ აქვთ მიიღონ საჩუქარი, თანხა ან/და რაიმე უკანონო სარგებელი უნივერსიტეტის თანამშრომლებისაგან, სტუდენტებისაგან, უნივერსიტეტის ბიზნეს-პარტნიორებისაგან ან სხვა დაინტერესებული პირებისაგან;
5. უნივერსიტეტის საჭიროებისათვის ეფექტურად უნდა გამოიყენონ უნივერსიტეტის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;
6. არ უნდა გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა.

მუხლი 5. ეთიკის კოდექსის სტანდარტები სტუდენტებისთვის

1. სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს უნივერსიტეტს, მის პერსონალს, უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს და სხვა სტუდენტებს. ამასთან, იგი ვალდებულია დაიცვას მასთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, ასევე უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული წესები.
2. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:
   2.1. შეურაცხყოფის მიყენება, ცილისწამება და ძალადობა სხვა სტუდენტების, პერსონალისა და უნივერსიტეტში დასაქმებულ სხვა პირთა მიმართ;
   2.2. აკადემიური სიყალბე, რაც გულისხმობს:

2.2.1. გადაწერას სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენებას სხვა სახის დამხმარე მასალისა, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ ყოფილა ნებადართული;
2.2.2. სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარებას;
2.2.3. კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას გამოცდის შესახებ;
2.2.4. სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარის წარმოჩენას;
2.2.5. წყაროს მითითების გარეშე, სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირებას - პლაგიატს;
2.2.6. შეფასების მიღების მცდელობა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, თაღლითობით თუ სხვა დაუშვებელი გზით;
2.2.7. თავისი საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბებას;

2.3. ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლის მოხმარება-გავრცელება;
2.4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ასაფეთქებელი ან საშიში ნივთიერებებით გადაადგილება;
2.5. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება;
2.6. ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლა, მათ შორის ხმაური და მობილური ტელეფონით სარგებლობა ბიბლიოთეკაში, ასევე აუდიტორიაში გამოცდის ან ლექციების მსვლელობის დროს;
2.7. უნივერსიტეტის ქონების დაზიანება.

3. საგამოცდო, საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადისერტაციო ნაშრომში აკადემიური სიყალბის ფაქტის დადგენა იწვევს შესაბამისი ნაშრომის უარყოფითად შეფასებას.

მუხლი 6. დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა

1. პერსონალის მხრიდან კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი და პროცედურა.
2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის მოთხოვნის უფლება აქვს უნივერსიტეტში დასაქმებულ ნებისმიერ პირს და თავად იმ სტუდენტს, ვისაც ზიანი მიადგა ამ უკანასკნელის არამართლზომიერი ქცევით.
3. სტუდენტის მიერ ჩადენილი არაეთიკური ქცევის დროს დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს სათანადო წესით მოპოვებულ და შესწავლილ მტკიცებულებებს.
4. სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შეფასებისა და საქმის გარემოებების ობიექტურად და სრულყოფილად შესწავლის მიზნით შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება სადისციპლინო კომისია არანაკლებ 3 პირის შემადგენლობით.
5. დისციპლინური დევნის დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საფრთხეს უქმნის სხვის უფლებებსა და ინტერესებს.
6. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
   6.1. მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
   6.2. დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

6.3. მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
6.4. მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში.

7. საქმის გარემოებების შესწავლის, საქმეში არსებული მტკიცებულებების შეჯერებისა და დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის ამ კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სანქციის გამოყენების შესახებ. სანქციის დაკისრების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი კომისიის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 7. დისციპლინური სანქციები

1. დისციპლინური სანქციებია:
   1.1. გაფრთხილება;
   1.2. საყვედური;
   1.3. ფულადი ჯარიმა (უნივერსიტეტის ქონების დაზიანების შემთხვევაში);
   1.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
2. ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შეიძლება მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთი ზომის გამოყენება. კომისია არ არის შეზღუდული დისციპლინური სანქციების არჩევაში.
3. სტუდენტის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა იყოს პროპორციული და თანაზომიერი მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით.
4. პასუხისმგებლობის ზომად სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა გამორიცხავს სამომავლოდ უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ურთიერთობას.